25.04.2014 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდახუთ აპრილს, მე ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა "ბროსეს 8"-ს (საგადასახადო კოდი 204540489 რეგისტრაციის თარიღი 08.10.2007 წელი, მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია, მისამართი: საქართველო, თბილისი ბროსეს 6-დან ბროსეს 8-მდე) თავმჯდომარე გიორგი თაბაგარი (დაბ: 08.04.1977 წელს, პირადი № 01024002934, მისამართი: ქ.თბილისი, ლარსის შეს № 3) ამ მინდობილობით ვენდობი თინათინ ცოფურაშვილს (პირადი № 01024062927) რათა იგი იყოს იმა-ს წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, ამხანაგობებში, გამგეობაში, მუნიციპალურ ორგანოსთან, თვითმმართველობის ორგანოებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, სახელმწიფო რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოებში, არქივში, მერიაში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, შეათანხმოს/წარადგინოს სამშენებლო პროექტი, განცხადებები, მიიღოს ნებართვები, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, წარადგინოს და მიიღოს აზომვითი ნახაზები, აწარმოოს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, მოახდინოს შენობის დემონტაჟი, წარადგინოს განცხადებები, ჩააბაროს და მიიღოს დოკუმენტები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტს, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, მაგრამ პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით – ერთი (1) წლის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობის გამცემი: გიორგი თაბაგარი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140399796
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.04.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	მინდობილობაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11943376880814

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდახუთ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10 მომმართა: **გიორგი თაბაგარმა(დაბ: 08.04.1977 წელს, პირადი № 01024002934, მისამართი: ქ.თბილისი, ლარსის შეს № 3)** რომელმაც წარმოადგინა მინდობილობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას. ხელმომწერ პირს განვუმარტე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე რომ, მე ვადასტურებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. მან განაცხადა რომ მინდობილობის ტექსტი მისთვის ცნობილია და იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას რის შემდგომაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას. მინდობილობაზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ხუთ ეგზემპლარად

გადახდილია სახელმწიფო სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად – ათი ლარი, აგრეთვე დღგ 1.80 ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე + ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის ორი ლარი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის 1 პ თანახმად.

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი